ხელშეკრულება №02/97
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
CPV: 98300000 - სხვადასხვა მომსახურება
CPV: 98351100 - ავტოსადგომების მომსახურებები

31 ოქტომბერი, 2017 წელი

ქ. თბილისი

ერთის მხრივ, სსიპ „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი", წარმოდგენილი გენერალური დირექტორის – მა ანა მიქაბერიძის სახით (შემდგომში - შემსყიდველი) და **მეორეს მხრივ,** შპს „სი-ტი პარკი" (შემდგომში - „მიმწოდებელი") მისი გენერალური მენეჯერის – ბენიამინ ლაჰავის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1. შესყიდვის ობიექტია, სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის, აპარატის 2017 წლის ასიგნებების ფარგლებში, სსიპ „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის" ბალანსზე რიცხული 2 ავტომანქანისთვის („Hyundai Getz" სახ. N:VQV-144) და („Hyundai Tucson" სახ. N:CXC-282, ქ. თბილისის მასშტაბით 1 (ერთი) წლის ვადით, პარკირების (პარკირების სისტემაში გააქტიურება) მომსახურების შესყიდვა (**CPV** კოდი: 98300000, 98351100), გამარტივებული შესყიდვით.

მუხლი 2. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

2.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

2.2 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

მუხლი 3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. პარკირების მომსახურების შესყიდვა ხორციელდება 2 (ორი) ერთეულ ავტომანქანაზე. ორი ავტომანქანის 1 (ერთი) წლის ვადით პარკირების მომსახურების საფასური შეადგენს 100.00 (ასი) ლარს.

3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს: 100.00 (ასი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

მუხლი 4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების გაწევა განახორციელოს „Hyundai Getz" სახ. N:VQV-144 **2017 წლის 3 ნოემბრიდან 2018 წლის 2 ნოემბრის ჩათვლით.**
(„Hyundai Tucson" სახ. N:CXC-282 **2017 წლის 3 ნოემბრიდან 2018 წლის 2 ნოემბრის ჩათვლით.**

მუხლი 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5.2 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე, ტექნიკურ ზედამხედველობაზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს სსიპ „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის" საფინანსო-ეკონომიკური და მატერიალური უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი მალხაზ ხოფერია და ფონდის მძღოლი დავით მიჩილაშვილი .

მუხლი 6. ანგარიშსწორება

6.1 შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.2 ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ მიღება-ჩაბარების აქტზე ორივე მხარის მიერ ხელმოწერის დღიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში.

მუხლი 7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1 მიმწოდებელი ვალდებულია:
უზრუნველყოს მომსახურების გაწევა სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით ვადაში, რომელიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში.

7.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია:
მოთხოვოს შემსყიდველს გადაიხადოს გაწეული მომსახურების შესაბამისი ანაზღაურება წინამდებარე ხელშეკრულების მე-6 მუხლში მითითებული დათქმის შესაბამისად.

7.3 შემსყიდველი ვალდებულია:

მუხლი 12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა საკთხების ირგვლივ.

12.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს დავის გადაწყვეტის მიზნით დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლოებს.

მუხლი 13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 ხელშეკრულება ავტომატურად წყდება:

ა) მხარეების მიერ დაკისრებული ვალდებულებების სრულად შესრულებისთანავე;

ბ) დამკვეთი იურიდიული პირის ლიკვიდაციის შემთხვევაში, თუ მას არ ჰყავს სამართალმემკვიდრე ან უფლებამონაცვლე.

13.2. მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით, ორმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

13.3 მხარეებს უფლება აქვთ ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე ან უარი განაცხადონ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, თუ მეორე მხარე არ ასრულებს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

მუხლი 14. სხვა პირობები

14.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთ პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი მის: ქ. თბილისი მ. ალექსიძის ქ. №1 სახელმწიფო ხაზინა ბ/კოდი 220101222 ა/ა 200122900 ს/კოდი: 204578064	შპს „სი-ტი პარკ“ ქ. თბილისი, კანდელაკის ქ. №47 ტელ: 19 21 92; 37 09 11 ს.ს. „თიბისი ბანკი “ TBCBGE22 ანგარიშის №GE75TB7721336070100003 ს/კ 204543770

სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი	შპს „სი-ტი პარკ“-ის გენერალური მენეჯერი
მანანა მიქაბერიძე	ბენიამინ ლაჰავი

ხელწერილი
ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი

31 ოქტომბერი, 2017 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ ავტოსადგომების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით, ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შესყიდვაში მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით შპს-სთან სი-ტი-პარკი.

სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი

მანანა მიქაბერიძე -

სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საფინანსო-ეკონომიკური და მატერიალური უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი

მალხაზ ხოფერია –

სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის იურიდიული და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

მაკა იაშვილი–

სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მძღოლი

დავით მიჩილაშვილი –

სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საფინანსო-ეკონომიკური და მატერიალური უზრუნველყოფის დეპარტამენტის მთ. სპეციალისტი

მინდია მაზმიშვილი –